# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მე-80 სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციისთვის წარმოდგენილი მოხსენება
თემაზე:

## ფერების მნიშვნელობა ჩინური მოძღვრების მიხედვით


არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

შიგა სივრცის დიზაინის მიმართულება

I კურსის მაგისტრანტი: ბოსტოღანაშვილი სოფიკო

ხელმძღვანელი: ხაბეიშვილი ნინო



თბილისი, 2012

# ფერების მნიშვნელობა ჩინური მოძღვრების მიხედვით




წარმატებული ფენ შუის ერთ– ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია სწორად შერჩეული ფერთა გამა. ამ უძველესი ჩინური მიმდინარეობის მიხედვით ითვლება რომ სახლისა თუ ოფისის ფერებს შეუძლიათ გარკვეული წვლილი შეიტანონ ადამიანის ბედ-იღბლის კორექციაში.

ფერი დიზაინერის ძირითადი ინსტრუმენტია სტილის შექმნაში, მოწყობასა და ვიზუალურ ფორმირებაში. მთავარია, სწორად შევარჩიოთ ფერი ინტერიერის მოწყობისას. ვიზუალური აღქმა გვიტოვებს შთაბეჭდილებას _ თუ თვალებს სჯერათ რაღაცის, ე.ი გონებაც იჯერებს. ამიტომ, ფერი შეიძლება გამოვიყენოთ თვალების მოსატყუებლად, ანუ შევქმნათ სივრცის ან სითბოს კორექცია ქვეცნობიერად: ნათელი ტონები პატარა ოთახს შესახედავად დიდს აჩვენებს, მუქ ტონებს კი მიმართავენ ვრცელი სივრცის და ძალიან მაღალი ჭერის შემთხვევაში; თბილი ტონები ათბობენ ცივ ოთახებს, ხოლო სასადილო ოთახში აძლიერებენ მადას.

ზოგადად, ფერი უმნიშვნელოვანესი ფსიქოლოგიური ფაქტორია, რომელიც შეიძლება გახდეს ადამიანის შთაგონების წყარო. ამავე დროს მას შეუძლია გამოიწვიოს წარსულთან დაკავშირებული გარკვეული გრძნობები, მოადუნოს ან ძლიერი ზეგავლენით დათრგუნოს კიდეც ადამიანი. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ფერების გაგება გარკვეულწილად სუბიექტურია. მაგალითად, ლურჯი ითვლება რბილ, დამამშვიდებელ ფერად, მაგრამ თუ ადამიანი ლურჯ პიჯაკში გამოწყობილი ადამიანის აგრესიის მსხვერპლი გახდა, ან ლურჯ ავტომობილს შეეჯახა, ამ დროს ეს ფერი ნამდვილად ვერ დაამშვიდებს.

ჩინურ კულტურაში ფერების სიმბოლური მნიშვნელობა ძირეულად განსხვავდება მათი ევროპული გაგებისგან, და როგორც ყველა მეტაფიზიკური გაგება, სათავეს იღებს 5 ელემენტის სისტემაში. ფერების მნიშვნელობა შეესაბამება არა მხოლოდ სეზონებსა და ბუნებრივ მოვლენებს, ასევე დღე-ღამის დროსა და სხეულის ნაწილებს. ფენ-შუის შემსწავლელთათვის ეს არც თუ ისე უმნიშვნელოა, ვინაიდან ფერი ხშირად გამოიყენება შენობაში ენერგიის რეგულირებისთვის.

ფენ-შუის თანახმად, ქვეყნის მხარეების მიხედვით არსებულ 8 მიმართულებას, ააქტიურებს შესაბამისი ფერი: ფენ-შუის იდეალურ ფერებში ოთახის შესაღებად საკმარისია მხოლოდ იმის ცოდნა, თუ მისი გარკვეული სექტორისთვის რომელი ფერია სიკეთისმომტანი.

ფენ-შუის მიხედვით ფერების სიმბოლიკა მჭიდროდ უკავშირდება 5 ელემენტის შესახებ სწავლებას. ძირითადი როლი მასში ინის და იანის ურთიერთდამოკიდებულებას და 5 ელემენტის ენერგიების ურთიერთქმედებას ენიჭება. ეს ელემენტებია: ხე, ცეცხლი, მიწა, ლითონი და წყალი. ისინი ერთმანეთს გარკვეული ურთიერთდამოკიდებულებით უკავშირდებიან. ფერების გამოყენებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია წარმოშობის წრე:

ამ წრეში ელემენტები დადებითად ურთიერთქმედებენ და ერთმანეთს აძლიერებენ:

- წყალი წარმოშობს ხეს (კვებავს მას)
- ხე წარმოშობს ცეცხლს (ხე ცეცხლს აძლევს ძალას)
- ცეცხლი წარმოშობს მიწას (ნაცარი მიწად გადაიქცევა)
- მიწა წარმოშობს ლითონს (ლითონს მოიპოვებენ მიწაში)
- ლითონი წარმოშობს წყალს (როცა დნება, წყალივით თხევადი ხდება)

ითვლება, რომ თუ სახლს აკლია რომელიმე ელემენტი, მაშინ საქმეში და ცხოვრებაშიც ერთ-ერთი მთავარი საყრდენის დაკარგვაა მოსალოდნელი. ამ ხარვეზის დასაბალანსებლად ფერები გვეხმარება.

ფენ-შუის თანახმად, ქვეყნის თითოეულ მხარეს შეესაბამება საკუთარი ელემენტი. ასე მაგალითად:




- ჩრდილოეთს - წალი და ლითონი. ეს სექტორი წყლისაა, ხოლო ლითონი აძლიერებს წყალს. წყლის სტიქიას შეესაბამება შავი და ლურჯი (წყლის ფერები);
- ჩრდილო აღმოსავლეთს და სამხრეთ-დასავლეთს – მიწა და ცეცხლი. აქ დომინირებს მიწისა და ცეცხლის ფერები ყავისფერი და ყვითელი (მიწის ფერები). ბინის ცენტრიც ასევე მიწას ეკუთვნის;
- აღმოსავლეთს და სამხრეთ-აღმოსავლეთს _ ხე და წყალი. აქ აქტუალურია ხის და წყლის ფერები – მწვანეს ყველა სპექტრი (მცენარეთა ფერი);
- სამხრეთს _ ცეცხლი და ხე (ცეცხლის სექტორს აძლიერებს ხე). აქ სასურველია ცეცხლის ფერები _ წითელი, ვარდისფერი, ნარინჯისფერი;
- დასავლეთს და ჩრდილო-დასავლეთს _ ლითონი და მიწა (ლითონის სექტორი წარმოშობილია მიწიდან). აქ უპრიანია ლითონის ფერები _ თეთრი, ვერცხლისფერი.

ფენ-შუის მიხედვით თითოეულ ფერს გააჩნია საკუთარი მოძრაობის სიხშირე, მთავარი ამოცანაა დაბალანსდეს ენერგიათა ნაკადები გარემოში. ფენ-შუის სპეციალისტი იყენებს რა მიზანმიმართულად სხვადასხვა ფერს, იწვევს დადებით ცვლილებებს და სასიცოცხლო ენერგიით ავსებს სახლსა თუ ოფისს.



ფენ-შუიში, სადაც სიმბოლიკის მნიშვნელობა ძალიან მაღალია, თითოეულ ფერს გააჩნია საკუთარი დაფარული შინაარსი. ფერზე ფსიქოლოგიური და სუბიექტური რეაქცია თამაშობს მნიშვნელოვან როლს. ფერის სიმბოლიკური მნიშვნელობა ზემოქმედებს ჩვენს ცნობიერებაზე და ამგვარად, შესაძლებელია ფერის გამოყენება ცნობიერებით მანიპულირებისთვის.

მთავარი ამოცანაა სპექტრის ყველა ფერი დაბალანსებული იყოს სახლის ნებისმიერ ნაწილში. ფენ-შუიში ფერი გამოიყენება დასამშვიდებლად, თვითშეფასების გასაუმჯობესებლად, პოზიტიური ენერგიის გასაზრდელად და უარყოფითის - შესამცირებლად.

როგორც ცნობილია, ლურჯი და იისფერი ამცირებს თავის ტკივილს, წითელი ზრდის არტერიულ წნევას, ვარდისფერი ამშვიდებს, ყვითელი და მწვანე კი ეხმარება კუჭ-ნაწლავის დაავადებებს. ხშირად ფერი ეხმარება მიზნის პოზიტიურ ვიზუალიზაციას, მეხსიერების გაუმჯობესებას და ფიქრის პროცესის აქტივაციას.

ფენ-შუიში არსებობს მეთოდი, რომელიც შესაძლებელს ხდის ფერების გამოყენებით მიიღწეს ენერგიის ჰარმონიული ბალანსი. ძირითად ფერს შეუძლია სივრცის სტიმულირება ან სხვა სათავსებიდან ენერგიის მოზიდვაში მონაწილეობა. შემოსასვლელი კარის გარშემო ნათელი საღებავები ხელს

უწყობენ ენერგიის შიგნით შემოღწევას; წითელ ლენტს ან ზოლს კი შეუძლია შეაჩეროს დადებითი ენერგიის – ცი-ს ძალიან ჩქარი გადაადგილება.

ფენ შუის მიხედვით ფერები იყოფა "ინ" და "იან" კატეგორიებად. (სამყაროში არსებობენ ერთმანეთისაგან განუყოფელი საპირისპირო ძალები: ინ – ქალური საწყისია , იან –მამაკაცური ენერგიაა. ”ინ” და ”იანი” დამოკიდებული არიან ერთი მეორეზე, ქმნიან ერთ მთლიანობას. სამყარო ამ ენერგიების ურთიერთბალანსზეა დამყარებული , ჰარმონია იმ შემთხვევაში მიიღწევა, როდესაც დაბალანსებულია ეს ორი ენერგია.)




განვიხილოთ თითოეული ფერის ფენ-შუისეული გააზრება:

**თეთრი** _ ეს არის სივრცის ფერი, რომელიც შეიძლება გამოიყენო სივრცის შესაგრძნობად. ის განასახიერებს ლითონის ელემენტს. თეთრი სიმბოლურად გამოხატავს ენერგიის შემცირებას და მიეკუთნება იანს. თეთრი ფერის გამოყენებას თან სდევს ცივი ენერგიის ნაკადი საძინებელში. ამ შემთხვევაში აუცილებელია ინტერიერში სურათების დამატება, სხვადასხვა ქოთნის ყვავილები და სხვა ნათელი დეტალები. სულიერი ცოდნის სრულყოფის, რელიგური გრძნობის გაღვივების და თვითგამნწმენდის, ე.წ. მედიტაციისთვის ხელსაყრელია ოთახის კედლების თეთრ ფერში გადაწყვეტა;

**შავი** _ შავი ფერი ვიზუალურად აპატარავებს სივრცეს ის იზიდავს, როგორც დადებითს, ისე უარყოფითს. განასახიერებს ინის ენერგიას, სიბნელეს, ღამეს, სიცარიელეს, გლოვას, გაურკვევლობას, დეპრესიას, სულიერ დაცემას და სიკვდილს. ის ასევე სიმბოლოა წყლის, ზამთრის და განშორების, სიღრმის, საფრთხის და დიდი უბედურების. ადამიანებში ასოცირდება ფულთან და ღირსებასთან. ნებისმიერ კულტურაში შავი ასოცირდება დემონებთან,

ჯადოქრებთან და შავ მაგიასთან. შავ ფერში გადაწყვეტილი ოთახი დაღლილობას და დეპრესიის შეგრძნებას ტოვებს. ხანდახან ხაზს უსვამს ხელოვნების იდუმალებას და ამოუცნობობას. ნათელ ტონებთან მიმართებაში შავი მაჩვენებელია შინაგანი ძალების. მისი გამოყენება შეიძლება მაშინ, როცა ოთახი ძალიანაა მზით განათებული და აქვს დიდი ზომის კედლები და მაღალი ჭერი.

**ლურჯი** _ გამოხატავს ბედის საჩუქარს და ღვთაებრივ ძალას (ლურჯად ღებავდნენ ჩინელი მაღალჩინოსნების სავარძლებს). ლურჯი ინდიგო – ხალხის ყველაზე საყვარელი ტანსაცმლის ფერია (ჯინსის ქსოვილი). ის წარმოადგენს ინის ენერგიას. ლურჯი – წყლის ფერია, გამჭვირვალობის, სირბილის, წვიმის, სიცივის, ყინულის. ლურჯი გამოხატავს თვითპატივისცემას, იდუმალებას. სიმბოლოა განმარტოების, ნდობის, მსახურების. ლურჯი იწვევს სევდას, განაპირობებს თვითამოძირკვასა და დამალვას. ლურჯს ხშირად განიხილავენ როგორც სულისა და სხეულის თერაპიულ საშუალებას. მქრქალი ლურჯი ხელს უწყობს აზროვნებას, გამოიყენება მადის შესამცირებლად, რკინის დავაადებების სამკურნალოდ და ნივთირებათა ცვლის აღსადგენად. ამ ფერით მიიღწევა თვითკონტროლი და გარემოებების მართვა.

**მწვანე** _ წარმოადგენს ტრადიციულად ცხოვრების, ძალის გაახლების და წარმოების ფერს. მწვანე – სიცხადე, სიგრილე, სიახლე, ბუნება, სიმშვიდე და მშვიდობაა. ის დასაწყისის, ზრდის, სიუხვის ფერია. სიმბოლოა სიმშვიდის და დღეგრძელობის, გამოხატავს ექსპანსიის ენერგიას. ითვლება რომ მუქი მწვანე ტონები ზედმეტად მძიმეა შიდა სათავსებში გამოსაყენებლად. ღია მწვანემ შეიძლება წარსულზე დარდის განცდა გამოიწვიოს. ეს ფერი იდეალურად

ესადაგება საძინებლებს. მწვანე ფერს მოაქვს წარმატება, ჯანმრთელობა, აზრის კონცენტრაცია, ჰარმონია, გამარჯვება და ფული.

**წითელი** _ ცეცხლის ფერია და ის დადებითი პოზიტიური ზემოქმედების მატარებელია. ჩინურ მეცნიერებაში და ფილოსოფიაში წითელი ფერი აღნიშნავს სივრცეს, სასიცოცხლო ძალასა და ენერგიის მაქსიმუმს (როგორც დადებითს – სიცოცხლეს, სიყვარულს, ვნებას, ისე უარყოფითს – ძლიერ ზიზღს, კრიტიკულობას, მძვინვარებას, სისხლისღვრას). ის გვეხმარება „ავი თვალისგან“ თავის დაცვაში, ამიტომ ჩინეთში პატარძლის ტრადიციული

სამოსი – წითელია. წითელი ფერი ხელს უწყობს სათავსის ენერგიით ავსებას. ის ასოცირდება იანის ენერგიასთან. ჩინეთში ახალი წლის შეხვედრა მიღებულია წითელ სამოსში, რადგანაც ზამთარში მოზღვავებულია ინის ენერგია, ხოლო წითელი ფერი ხელს უწყობს იანის დამატებას, რითიც მიიღწევა ჰარმონია და ბალანსი. ინტერიერში წითლის სიმკვეთრე შეიძლება მასტიმულირებელი იყოს გადაწყვეტილების სწრაფად მიღებისათვის, კეთილი საქმის გაკეთების შთაგონებისთვის. ჩინელებისთვის ესოდენ საყვარელი ეს ფერი გვჩუქნის ბედლიერებასა და აყვავებას.

**ყვითელი** _ ძალაუფლების ფერია. ეს არის იმპერატორების ფერი, ძველ ჩინეთში ეს ფერი იყო ნაციონალური და მონარქიული. ჩინურ მეცნიერებასა და ფილოსოფიაში მას იანის მნიშვნელობა ჰქონდა, მდებარეობდა ინის და იანის შორის ბუფერულ ზონაში. ყვითელი გამოხატავს მხიარულებას, სიცოცხლის ხალისიანობას, ბრწყინვალებას. სიმბოლურად გამოხატავს გავარვარებასა და ნათებას, მზეს, თბილ მზიან დღეს, ოქროს და დღეგრძელობას. ამავე დროს ყვითელი აღნიშნავს გაფრთხილებას, ეჭვიანობას, რღვევას. ყვითელი და

ოქროსფერი მიწის ფერებია. მათ შეუძლიათ სტაბილურობის, იმედის და ბედნიერების შეგრძნების შექმნა.



ადამიანი ყველაზე კარგად თავს გრძნობს იქ, სადაც სუფევს ჰარმონია და შენარჩუნებულია "ინ" - "იან"–ის ბუნებრივი ბალანსი. სახლის დეკორირებისას, ჰარმონიული ფერთა გამის მისაღწევად დასაშვებია ექსპერიმენტები და ინტენსიური მკვეთრი ფერები, თუმცა უნდა ვერიდოთ რომელიმე ერთი ფერის მაქსიმალურად გამოყენებას. მთავარია შერჩეული ფერთა პალიტრა იდეალურად შეესაბამებოდეს ოთახების დანიშნულების და დასახულ მიზნებს.